განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

24/02/2026

MES 8 26 0000213315

თვითმმართველ ქალაქებს

სათემო მუნიციპალიტეტებს

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს
მის. ქ. თბილისი,0186.მიცკევიჩის ქ.29/29ა
ელფოსტა: kids@tbilisi.gov.ge

გაცნობებთ, რომ გამოცხადებულია პირველკლასელთა რეგისტრაცია 2026-2027 სასწავლო წლისათვის. რეგისტრაცია ხორციელდება 5 ეტაპად:

I ეტაპი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 18 თებერვლიდან 02 მარტის ჩათვლით; რეგისტრაციის პროცესი იწყება სასურველი სკოლის შერჩევით. სასურველ სკოლაში მშობლის ვიზიტის შედეგად, სკოლა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე არეგისტრირებს ბავშვს.

ბავშვის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლი უთითებს ბავშვის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და ავსებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მომართვის ფორმას და აგზავნის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში (სამმართველო), რომელსაც დაურთავს შესაბამის დოკუმენტებს, მათ შორის ბავშვის დაბადების მოწმობას, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, დამატებით წარმოადგენს მინდობილობის დოკუმენტს (იხ. დანართი).

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი სტანდარტიზებული ტესტების საშუალებით შეაფასებს და განსაზღვრავს ბავშვის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას. შეფასების დასკვნაში გაცემული იქნება რეკომენდაციები როგორც სკოლის, ასევე მშობლისთვის, მათ შორის, ბავშვის ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნა გაეგზავნება სკოლას. ბავშვის შეფასება უფასოა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სკოლა ჩარიცხავს რეგისტრირებულ ბავშვს. სკოლაში ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტები მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს 2026 წლის 04 მარტიდან 2026 წლის 17 აპრილის ჩათვლით.

იმ შემთხვევაში თუ ბავშვს აქვს სმენის დარღვევა, მხედველობის სირთულეები, გონებრივი განვითარების შეფერხება, მძიმე და მრავლობითი დარღვევა, სისტემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სთავაზობს რესურსსკოლების (სპეციალიზებული სკოლების) მომსახურებას, სადაც ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის შეფასების საფუძველზე.

საქართველოში სულ 7 სპეციალიზებული სკოლაა:

- გონებრივი განვითარების შეფერხების, მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის 2 თბილისში, 1 ახალციხეში და 1 ჭიათურაში. თბილისის 1 სკოლის გარდა, დანარჩენ 3 სკოლას აქვს პანსიონიც სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის.
- სმენის დარღვევის მქონე და ყრუ მოსწავლეებისთვის 1 თბილისში და 1 ქუთაისში. ორივე სკოლას აქვს პანსიონი სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის.
- მხედველობის დარღვევის მქონე და უსინათლო მოსწავლეებისთვის 1 სკოლა თბილისში. სკოლას აქვს პანსიონი სხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსწავლეებისთვის.

სპეციალიზებულ სკოლა-პანსიონებში მომსახურება სრულად უფასოა.

II ეტაპი - რეგისტრაცია და დოკუმენტაციის წარდგენა - 2026 წლის 21 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით; ამ ეტაპზე რეგისტრირდებიან ბავშვები:

- რომელთა და-ძმაც სწავლობს სასურველ სკოლაში;
- რომელთა მშობელიც სასურველი სკოლის თანამშრომელია;
- რომელთა ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

რეგისტრაციას წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა.

III ეტაპი - 12 საპილოტე მუნიციპალიტეტში სასკოლო უბანში რეგისტრირებული (ჩაწერილი) ბავშვების ელექტრონული რეგისტაცია - 2026 წლის 15 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით.

ტერიტორიული პრინციპით ელექტრონულად რეგისტრირდებიან მხოლოს ის ბავშვები, რომელთა რესგიტრაციის (ჩაწერის) მისამართია სასკოლო უბანი 2026 წლის 1 აპრილის მდგომარეობით. დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ეტაპის რეგისტრაციის პირობების შესახებ გეცნობებათ მოგვიანებით.

III ეტაპზე ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2026 წლის 27 მაისიდან 2026 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

IV ეტაპი - საყოველთაო ონლაინ რეგისტრაცია დაიწყება 2026 წლის 15 ივნისიდან 2026 წლის 03 ივლისის ჩათვლით ვებგვერდზე registration.emis.ge.

საჯარო სკოლებში IV ეტაპზე ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2026 წლის 06 ივლისიდან 2026 წლის 17 ივლისის ჩათვლით. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

V ეტაპი - რეგისტრაცია და დოკუმენტაციის წარდგენა 2026 წლის 20 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით.

IV ეტაპის დასრულების შემდგომ განთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე განხორციელდება იმ მოსწავლეების რეგისტრაცია, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II, III და IV ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა. რეგისტრაციას უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ.

კერძო სკოლებში რეგისტრაციის სურვილის მქონე მშობელმა განცხადებით უნდა მიმართოს უშუალოდ სკოლას. ინფორმაცია ავტორიზებული კერძო სკოლების შესახებ შესაძლებელია იხილოთ შემდეგ ბმულზე:

https://eqe.ge/ka/page/static/93/zogadsaganmanatleblo-datsesebulebebi

პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისთვის წარსადგენი დოკუმენტებია:

- მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას;
- მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აქვე დამატებით შეგახსენებთ, რომ დაწყებითი და საბაზო განათლება (I-IX კლასები) სავალდებულოა. სახელმწიფოს მიერ ხორციელდება მონიტორინგის ღონისძიებები. მშობლის/მეურვის მხრიდან განათლების უფლების შეზღუდვა განიხილება როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმა და ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, ოჯახთან მუშაობას იწყებენ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოები. შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს მშობლის უფლების შეზღუდვის საკითხიც (როგორც უკიდურესი ზომა).

პირველ კლასში სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც ბავშვს უსრულდება 2026 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით. ასევე, მშობელი უფლებამოსილია ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვოს სკოლამდელ დაწესებულებაში მომსახურების გაგრძელება იმ შემთხვევაში თუ ჯერ კიდევ არ არის მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა, მიუხედავად შესაბამისი ასაკისა. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სკოლამდელი განათლებაში დამატებით დარჩენა რეკომენდებულია არაუმეტეს ერთი სასწავლო წლისა. სპეციალური საჭიროების არმქონე ბავშვის დაყოვნება სკოლამდელ დაწესებულებაში ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ლახავს მისი განათლების უფლებას.

სკოლამდელი განათლების დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის ხელშემწყობი ღონისძიებები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ ორ საკითხთან დაკავშირებით მშობელთა კონსულტირება და საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური უწყებების ჩართვა.

ასევე, მშობელთა ინფორმირების მიზნით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ენის - ქართული ენის სწავლება ყველა სკოლაში სავალდებულოა. ასევე, ყველა საჯარო სკოლაში სავალდებულოა ინგლისური ენის სწავლება. მეორე უცხოური ენის სწავლება წარმოებს სკოლის/მოსწავლეების

არჩევანის შესაბამისად: გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული, თურქული, უკრაინული, ესპანური და სხვა.

მოგმართავთ, თხოვნით აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელოთ თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, ასევე სასკოლო მზაობის ალტერნატიულ ცენტრებში, რათა დროულად იყვნენ ინფორმირებულები სასკოლო ასაკის ბავშვების მშობლები.

დანართი: 4 გვერდი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / სკოლამდელი და
ზოგადი განათლების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კალანდაძე ლალი